

K98 773
3

355136040
300-7010000

98-773
3

ნ. გაფავარიანი
საქართველოს
მთავრობის

ღვინის
გაფილვა



ნ. ღ. მაჟავანისი

ტექ. მეცნ. კანდიდატი



ღვინის გაფირვანი

კ ი ს მ 3



ცახელმჯიშო გამომცემობა

„საბჭოთა საქართველო“

თბილისი—1961

ზოგადი ცაჯილი

ფილტრების გამოყენებამ მეღვინეობაში საგრძნობლად გაამარტივა ღვინის მოვლა-დამუშავება. ყოველნაირი ღვინო ჩამოყალიბების პროცესში სხვადასხვაგვარი სიმღვრივით ხასიათდება. შენახვის პერიოდში ღვინის თანდათანობითი თვითდაწმენდა დამოკიდებულია მის მუსავიანობაზე, ექსტრატის შემცველობაზე და სხვ.

ამჟამად არსებობს მთელი რიგი ხელოვნური საშუალებანი, რომელთა გამოყენებითაც შეგვიძლია დავაჩქაროთ ღვინის დაწმენდის პროცესი, ასე მაგალითად: გოგირდი, თერმული დამუშავება, გაწებვა, გაფილტვრა და სხვ.

ღვინის სიმღვრივე მასში გახსნილ ნივთიერებათა შორის მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური გარდაქმნების შედეგია. გარდა ამისა ტემპერატურის ცვალებადობაც აგრეთვე ხელს უწყობს სიმღვრივეთა წარმოქმნას, რადგან ამ დროს იცვლება ღვინოში შემავალ კომპონენტების სხნადობა, რაც თავის მხრივ განაპირობებს გამოლექვის პროცესს.

გამოლექვის პროცესში დიდი როლი ენიჭება ღვინის მუსავიანობისა და კოლოიდური შენაერთების ელექტრომუხრანების ცვალებადობას. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დაფანგვა-ალდგენითი პროცესების მსვლელობასაც. როგორც წესი, ამღვრეული ღვინო უფრო ადვილად განიცდის ცვალებადობას და ავადდება, ვიდრე დაწმენდილი, ვინაიდან სიმღვრივის შემადგენლობაში შეიძლება არსებობდნენ ისეთი ნივთიერებანი, რომელიც ღვინოში არასასურველ პროცესებს იწვევს. აქედან გამომდინარე ცხადია, თუ რა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ღვინის სიმღვრივის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი



თავისთავად ქრება, უმეტესი ნაწილი იმდენად მდგრადი რომ მათ მოსაცილებლად საჭირო ხდება ხელოვნური ხერხების გამოყენება.

სიმღერივის ზოგიერთ სახეობას, განსაკუთრებით კი ბიოლოგიური ხასიათის სიმღერივებს ე. ი. ისეთებს, რომლებიც გამოწვეულია მიკროორგანიზმების და ჟანგბადის მოქმედებით, შეუძლიათ ძირფესვიანად შესცვალონ ღვინის შინაარსი.

ბიოლოგიური ხასიათის სიმღერივის წარმოშობას ხელს უწყობს მაღალი ტემპერატურა, დაბალი ალკოჰოლიანობა, დარჩენილი შაქრები და სხვ.

ღვინის სიმღერივის გამოწვევი მიზეზების მიხედვით არჩევენ:

1. სიმღერივე, შემდგარი მიკროორგანიზმებისაგან (ბიოლოგიური სიმღერივი, ე. ი. საფუარები, ბაქტერიები და სხვ.).

2. კრისტალური გამონალექი, რომლის შემაღენლობაშია: ღვინის ქვა, ღვინის მფავა კალციუმი, მეაუნმეფავა კალციუმი, გოგირდმფავა კალციუმი და სხვ.

3. კოლოიდური ბუნების სიმღერივე, გამოწვეული ცილების აქრის ნიადაგზე და კოლოიდურ მდგომარეობაში გამოყოფილი მძიმე მეტალები (10).

კოლოიდური და ქიმიური ბუნების სიმღერივის მოცილება გაფილტვრის საშუალებით დროებით ხასიათს ატარებს, ვინაიდან გამფილტრავი ფენა აკავებს მხოლოდ ხსნარიდან გამოყოფილ მყირ ნაწილაკებს (გელები), ხსნარში გახსნილ ნივთიერებებს (ზოლები) კი ფილტრის ფირფიტები ვერ აკავებენ.

როგორც ვხედავთ, იმისათვის რომ გაფილტვრის შედეგი კარგი იყოს, საჭიროა ღვინო დამუშავდეს ყველა იმ ნივთიერებებით, რომელნიც ხელს უწყობენ მის დაწმენდას (უელატინი, თევზის წებო, სისხლის ყვითელი მარილი, ბენტონიტი და სხვ.).

ჩვეულებრივ ღვინის დაწმენდა მოითხოვს სხვადასხვაგარ ტექნოლოგიურ დამუშავებას. დამუშავების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს გაფილტვრა, რომელიც შედარებით ჩქარი და



საიმედოა, თუ რასაკვირველია მხედველობაში არ მივღებელი გაწებეას. გაფილტვრის ფიზიკური არსი შეიძლება დავიყვანოთ ფორმების არეში სითხის გადენადობის პროცესზე (3).

თავისითავად გაფილტვრა ნაწილობრივ ღვინის სტერილიზაციასაც ახდენს იმ მხრივ, რომ ღვინოს ათავისუფლებს საფუფრის უჯრედების, ღვინის სიძწარის გამომწვევე სხეულებისა და სხვა მიკროორგანიზმებისაგან. მაგრამ, თუ ღვინოში გვხვდება მეტად მცირე ზომის ორგანიზმები, რომელიც ფილტრის ფირფიტების ფორმებში თავისუფლად გადიან, ასე მაგალითად: ძმრის ბაქტერიები, ღვინის განალორწოებელი ბაქტერიები და სხვა, მაშინ ღვინოს ატარებენ გამაუსნებოვნებელ „EK“ ფილტრში, რომელიც მის სრულ სტერილიზაციას ახდენს.

რაც შეეხება დაძველებულ ღვინოს, რომელიც გამზადებულია სარეალიზაციოდ, იგი ბოთლებში ჩამოსხმის წინ კიდევ უნდა გაიფილტროს.

ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილება, რომელსაც ამა თუ იმ ფილტრს უყენებენ იმაში მდგომარეობს, რომ მან ღვინის გემურ თვისებებზე უარყოფითად არ იმოქმედოს და გაფილტვრის ხარისხი მაღალი იყოს. (6).

ფილტრში გამფილტრავი ფენის ამოცანას ანხორციელებენ: ბაზბის, სელის და მატყლის ქსოვილები, აგრეთვე ქაღალდი, ცელულოზა, აზბესტი, დიატომიტი, კაოლინი და სხვა

თუ გამფილტრავი ფენის ფორმების დიამეტრი სითხეში მოტივტივე ნაწილაკების დიამეტრზე მეტია, მაშინ საჭიროა მისი ფორმების შემცირება. ამისათვის საჭიროა ფილტრში გატარდეს ჯერ მღვრიე ღვინო, რათა ფენის ფორმები გაიბინდენ და მათი დიამეტრის შემცირებით გაფილტვრის ეფექტიანობა გაიზარდოს.

სითხის გაფილტვრის დროს მოტივტივე ნაწილაკები, რომელიც ფორმებში ვერ გადიან, ზედაპირზე ილექტებიან და ქმნიან მეორად გამფილტრავ ფენას. ცხადია, რომ რაც უფრო ხანგრძლივი იქნება გაფილტვრის პროცესი, მით უფრო გასქელდება მეორადი ფენა. ამის გამო ფორმებში სითხის დინების სიჩქარე თანდათან შენელდება და ბოლოს მთლად შეწყდება.



გამფილტრავ ზედაპირთან სითხის შეხების დროს წნევათ სხვაობის გამო, მის ზედა და ქვედა მხარეს თხიერი ფაზა ფორმოვან ზედაპირს გადის და ვიღებთ სუფთა ფილტრატს; სიმღვრივის გამომწვევი ნაწილაკები კი, როგორც აღნიშნეთ, ფორმოვან ზედაპირზე იღებებიან და ქმნიან ფორმოვან ფენას. ჩემი ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ამ მეორადი ფენის (ნალექის) მოშორებით შესაძლებელი იყოს აზბესტის ფენის თვისებების აღდგენა. მაგრამ ეს ასე არ ხდება, რადგან სხვა ნაწილაკები, რომელიც გამფილტრავი ფენის ფორმებზე მცირენი არიან, ჩერდებიან დაკლაკნილ ადგილებში, ზოგიერთი ნაწილაკები კი მათ კედლებზე ადსორბირდებიან, რაც იწვევს ნჰბესტის ფენის გაბიდვნას მთელ სიღრმეზე და აძნელებს აითხის გაეონვას.

ჩვეულებრივ სითხის მოძრაობა გამფილტრავ ფენაში წნევის ქვეშ მიმდინარეობს. ღია ფილტრში წნევა ხორციელდება იმ სითხის სვეტის სიმძიმის ხარჯზე, რომელიც მოთავსებულია გამფილტრავ ფენის ზემოდან. დახურულ ფილტრებში კი წნევა ტუმბის საშუალებით ხორციელდება.

საერთოდ გაფილტვრა უნდა მიმდინარეობდეს წნევის თანდათანობითი აწევით. გაფილტვრის სიჩქარის შენელებასთან ერთად წნევა უნდა იზრდებოდეს.

ლგინის თვისებების გაფლენა გაფილტვრის გაფლელობაზე

გაფილტვრის ხარისხი ღვინის ტიპის მიხედვით სხვადასხვანაირია, ასე მაგალითად: შემჩნეულია, რომ მაღულარი ღვინის გაფილტვრა არ იძლევა დადებით შედეგს; ეს გამოწვეულია CO_2 -ის დაგროვებით იმ საფუვრების გარშემო, რომელიც გაფილტვრის დროს აზბესტის ფენაზე გამოილექებიან და აზიანებენ მას.

მეორე შემთხვევაში, როდესაც ღვინო მდიდარია დამცველი კოლოიდებით, ნაწილაკების შეწებვა აღარ ხდება, ამ დროს ისინი წინააღმდეგობას უწევენ გამფილტრავ ფენის არხებში ნაწილაკების გაჭექვის და ხელს უწყობენ ურთიერთდაცურვას. ამის შედეგად ღვინო აღარ იწმინდება.

აქედან გამომდინარე საჭიროა, რომ გაფილტვრბამიშეჩნია ვაწარმოოთ, როცა ღვინო დუღილს დაამთავრებს და უკვე ჩატარებულია მის გასაწმენდად მიმართული ყველა საშუალება (გადაღება, გაწებვა, ორმული დამუშავება და სხვ.).

გაფილტვის გაზღვენა ღვინოზე

როდესაც მეღვინეობაში ფილტრის გამოყენება დაიწყეს ეგონათ, რომ იგი უარყოფით გავლენას ახდენდა ღვინის გემურ თვისებებზე.

ათეული წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ გაფილტვრა ღვინოზე არავითარ უარყოფით გავლენას არ ახდენს, რასაკვირველია, თუ ეს პროცესი დროულად, წესიერად და ხარისხ ხოვნად ჩატარდა. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ მაღალხარისხოვანი ღვინოც კი, გაფილტრული ისეთ ფილტრში, როგორიცაა გამაუსნებოვნებელი ფილტრი „EK“ არ კარგავს არც არომატს, არც ბუჟეტს და არც გემურ თვისებებს. ოღონდ გაფილტვრის შემდეგ ღვინო მოითხოვს დასვენებას 30-40 დღის განმავლობაში, რის შემდეგაც იგი აღიდგენს ყველა თვის თვისებას.

უხარისხო გამფილტრავ ჩასის ხმარების შედეგად ფილტრში გამავალი ღვინო მდიდრდება ტუტეებით, მძიმე მეტალებით და სხვ. რის შედეგადაც ღვინოში წარმოიშობა სიმღვრივე. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად გაფილტვრისათვის გამზადებულ ფილტრში ატარებენ $0,6\%$ -იან ღვინის ან ლიმონის მჟავას; ფილტრში სითხეს აყოვნებენ 30 წუთის განმავლობაში და შემდეგ კი მას წყლის ნაკადით ჩეცხავენ.

გაფილტრული ღვინის პირველი 2-3 დ/ლ ცალკე უნდა შეგროვდეს, რაღაც პირველ ფრაქციას შეიძლება გაჰყვეს აზბესტის ნაწილაკები და ღვინოს მიეცეს რაიმე გემო.

აზბესტის ნაწილაკების შეყოლება ღვინოს გამჭვირვალეობას უკარგავს და სიმღვრივის შთაბეჭდილებას სძენს, ამის მიზეზია: 1) მოკლე ბოჭკოების მქონე აზბესტი, 2) აზბესტის უხარისხო გარეცხვა გაფილტვრამდე; 3) საკონტროლო ღვინის არასაკმარისი რაოდენობით ფილტრში გატარება, 4) გა-



ფილტვრის არასწორი მსვლელობა (ლვინის გატარება შეარცხული წნევის ქვეშ, მაღალი სიჩქარეების გამოყენება მცირე გარა-რიტიან ფილტრებში და სხვ.).

გამზადებული ფილტრი იმდენად კარგად უნდა გაირეცხოს, რომ მასში გატარებულ წყალს არ ახასიათებდეს არა-ვითარი გარეშე გემო და ფერი, ე. ი. ფილტრი ზედმიწევნით სუფთა უნდა იყოს.

ფილტრის წარმადობა

თუ გაფილტვრის პროცესს თეორიული თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ ჰიდრავლიკის კანონების თანახმად გა-ფილტვრის დროს ნალექისა და გამფილტრავ ფენის ფორებშა ადგილი აქვს სისხის ლამინალურ მოძრაობას ($4:7$); ე. ი. სითხე სწორხაზოვან მილაკებში მოძრაობს. აქედან გამომდინარე იგი ექვემდებარება კაპილარებში სითხის მოძრაობის კანონებს, რაც შეიძლება გამოვხატოთ განტოლებით.

აღნიშნოთ გაფილტრული სითხის მოცულობა t -დროის განმავლობაში m -ით. V —წარმადობა ანუ სითხის გაფონვის სიჩქარე, რომელიც გამოიხატება გამოდენილი სითხის მოცულობით დროის ერთეულში, რაც $= \frac{m}{t}$. როდესაც მოცემული სითხე გადის H —წნევის ქვეშ, 1 —სიგრძისა და d —დიამეტრის კაპილარში, მაშინ წარმადობა გამოიხატება შემდეგი განტოლებით (პუაზელის კანონის მიხედვით):

$$V = \frac{c}{v} \cdot \frac{Hd^4}{l};$$

სადაც c —კონსტანტა და v —სითხის სიბლანტე, რომელიც დამოკიდებულია ტემპერატურაზე.

თუ დავუშვებთ, რომ გამფილტრავი ფენა S —ფართობისა და E —სისქისა შედგება მრავალი სწორხაზოვანი მილაკებისაგან, E —სიგრძისა და n —რაოდენობით ფართობის ერთეულზე, ან S_n —მთელ ფართობის ზედაპირზე, მაშინ ამ ფენის გამტარუნარიანობა შეადგენს:

$$V = S_n \cdot \frac{c}{v} \cdot \frac{Hd^4}{E};$$

ფორმულის გასამარტივებლად ჩავთვალოთ, რომ $c = \frac{c}{v} nd^4$,

მაშინ მოცემულ საფილტრავ ზედაპირისათვის, სითხისათვის და ტემპერატურისათვის მივიღებთ შემდეგ ფორმულას:

$$V = \frac{m}{t} = CS \cdot \frac{H}{E};$$

ცხადია, რომ გამფილტრავი ფენის ფორები არ წარმოადგენენ სწორხაზოვან მილაკებს, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ეს ისე ხდება, როგორც ზემოთ განვიხილეთ. პუაზელის კანონის ამგვარად გამოყენება გამფილტრავ ფენებისათვის სწორია იმ მოსაზრებითაც, რომ მათი გამტარუნარიანობა პირდაპირ პროპორციულია წნევისა და უკუპროპორციულია გამფილტრავი ფენის სისქისა.

რაც შეეხება სიბლანტეს, სხვადასხვა ლვინოებისათვის მათი სხვაობა უმნიშვნელოა და ამიტომ ფილტრის წარმადობაზე ეს რაიმე არსებით გავლენას არ ახდენს.

გაფილტრის ტექნიკა

გაფილტრის სახეობათა შორის ჩვენ ძირითადად განვიხილავთ ორი სახის პროცესს:

1. სორბციის გზით, რომლის დროსაც თანახმად მიზიდულობის კანონისა ნაწილაკები რჩებიან გამფილტრავ ფენაში, რომლის ფორების დიამეტრიც ნაწილაკების დიამეტრზე მეტია. აღნიშნული პროცესი ხასიათდება შემდეგი თვისებებით: ჯერ გასაფილტრი სითხე გამოედინება გამჭვირვალე, შემდგომში კი სულ უფრო და უფრო შემღვრეული; სიმღვრივე მით უფრო მეტია, რაც უფრო მეტია მოტივტივე ნაწილაკები, და რაც უფრო მცირეა გასაფილტრი მასალის მასა;

2. გამოცხრილვით, როცა სითხის ნაწილაკები ფენის ფორების სიმცირის გამო გამფილტრავ ფენის ზედაპირზე ილექტებიან ანდა კაპილარების დახლართვისა და შევიწროების გა-



მო ფენაში რჩებიან. აღნიშნულ შემთხვევაში გასაფრთხოების სითხე რაც დრო გადის, მით უფრო გამჭვირვალე გამოედინება და ამრიგად ვიღებთ მდგრად გამჭვირვალობას (8).

პირველ შემთხვევას ადგილი აქვს ცელულოზით გაფილტვრისას; მეორეს კი—ინფუზორული მიწით გაეღენთილი ტილოთი ან აზბესტით გაფილტვრის დროს.

ამ ორ, თეორიულად განსაზღვრულ შემთხვევათა შორის, ცხადია, არსებობენ მთელი რიგი შუალედი საფეხურებიც. მსხვილი ნაწილაკები შესაძლებელია დაკავდნენ გამოცხრილვის საშუალებით, წვრილი კი— სორბცით.

გამოცხრილვით გაფილტვრა აკავებს ზოგიერთ კოლოიდურ ნაწილაკებსაც, რომელიც ცელულოზის მიერ ვერ სორბირდებიან, ეს უკანასკნელნი უმთავრესად ლორწოვან ნივთიერებებს ეკუთვნიან. ფორმების დიამეტრების სიდიდეებს შორის მკვეთრი განსხვავებით აისანება ის გარემოება, რომ ერთი და იგივე პირობებში სორბციული ფილტრების წარმადობა უფრო მაღალია, ვიდრე გამოცხრილვით მოქმედების ფილტრებისა. ამასთან პირველთა გაბინდვის ხარისხი უფრო მცირეა, ვიდრე მეორეებისა.

ინტენსიურად შემღვრეული ლვინის დასაწმენდად (განსაკუთრებით ახალგაზრდა ლვინის შემთხვევაში), წარმოებაში იყენებენ დიდი ფართობის მქონე გამოცხრილვით მოქმედების ფილტრებს, რომელთაც ტილოს შემთხვევაში, ყოველ კვადრატულ მეტრზე უმატებენ 10-დან 50-მდე გრ. ინფუზორულ მიწას. ხოლო როდესაც გასაფილტრია შედარებით სუვთა ლვინო, მაგალითად, ბოთლებში ჩამოსხმის წინ, ჩვეულებრივად იხმარება მცირე გაბარიტიანი სორბციული ფილტრები, რომელთათვისაც გამფილტრავ ფენად ბოლო ხანებში იხმარება წინასწარ დამზადებული ფირფიტები (ცელულოზა + აზბესტი), რომელიც ფილტრაციის მაღალ ეფექტს იძლევიან. თუ გამოცხრილვით ფილტრაციის დროს ლვინო მღვრიე გამოედინება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ გამფილტრავი ფენა დარღვეულია და განახლებას მოითხოვს,

გამფილტრავ ფენად აგრეთვე იხმარება ბამბის სქელი ქსოვილისაგან დამზადებული დისკოებიც, რომელიც მჭიდროდ



არიან ფილტრში ერთმანეთზე დალაგებული და ღვინო^{მიმდევრული} მიმართ განივი მიმართულებით მიეღინება. ამგვარი ფილტრის გაფილტვრის მაღალ ეფექტს იძლევა.

გაფილტვრის დროს აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ღვინის დაცვა დაუანგვისაგან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოიფიტება და მაღალგემურ თვისებებს დაკარგავს.

ღვინის გაფეხვისა და გაფილტვის დაპირისპირება

მიუხედავად გაწებვის ხარისხობრივი უპირატესობისა, გაფილტვრის გაწებვასთან შედარებით მაინც ზოგიერთი უპირატესობა ახასიათებს, მაგალითად, ღვინის სწრაფი და საიმედო დაწმენდა.

პრაქტიკულადაც გაფილტვრა გაცილებით სწრაფი ხერხია, ვიდრე გაწებვა, რადგან იგი საშუალებას გვაძლევს მოკლე დროს განმავლობაში დავწმინდოთ ძლიერ ამღვრეული ახალგაზრდა ღვინო, რომელიც მდიდარია ლორწოვანი ნივთიერებით, მაგრამ, შემდგომ, როცა უკვე საქმე ეხება ღვინის მდგრადობასა და გამჭვირვალეობას გაწებვა გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე გაფილტვრა.

გაწებვის უპირატესობა გაფილტვრასთან შედარებით შემდეგში მდგომარეობს:

1. თუ, მაგალითად, აერაციის შედეგად ღვინო იმღვრევა, მაშინ ნელი და თანდათანობითი კოაგულირებულ პროტეიდის გამოლექვა უზრუნველყოფს სიმღვრივის გამომწვევ ნაწილაკების მოშორებას, რომელთა კოაგულირებასაც გაწებვის ოპერაცია აჩქარებს. გაფილტვრის შემდეგ კი, თუ წინასწარ არ იქნა მიღებული სათანადო ზომები, ძალიან ხშირია თეთრი და წითელი ღვინოების ამღვრევის შემთხვევა.

2. ღვინის გაწებვა თავის მხრივ ხელს უწყობს მასში მიმდინარე კოლოიდურ პროცესებს. არაკოაგულირებულ პროტეიდების ურთიერთფლოკულიაციას ზოგიერთ არასასურველ პროტეიდებთან ადვილად ხდის ამ უკანასკნელთა გამოლექვა.

3. გაწებვის პროცესი შედარებით ნაკლებად მოქმედებს

დამცველი კოლონიდების (დექსტრანი) შემცველობაზე: ცნობილია, რომ ლვინოში მათი დიდი რაოდენობით არსებობს ნელებს მის დაწმენდას. გასაწებად ხმარებული ნივთიერებანი ნეიტრალურ რეაქციით ხასიათდებიან და ლვინოს არავითარ სუნსა და გემოს არ უტოვებენ.

რაც შეეხება წითელი ლვინის შეფერვას, გაწებვა ჩვეულებრივად ასუსტებს მას, რადგან ამ დროს ლვინოს შორდება კოლონიდურ გრამარებაში მყოფი საღებავი ნივთიერების ფრაქტია, ფილტრაციის დროს კი, პირიქით, შეფერვა ძლიერდება, ვინაიდან ადგილი აქვს აერაციას, რომელიც ამ დროს მის ელფერს ამჟებს, ოლონდ აღდგენითი პროცესების შედეგად შეფერვის სიხალისე იკარგება. აქედან გამომდინარე ამ შემთხვევაში ხმარობენ გოგირდოვან მჟავას, რომელიც აღადგენს ფერის სიხალისეს.

ისმება კითხვა—საკმარისი იქნება თუ არა ჩავატაროთ მხოლოდ ერთ-ერთი ამ ოპერაციათაგანი. — რასაკვირველია არა.

როგორც წესი, საჭიროა რომ ლვინო ჯერ დამუშავდეს ყველა იმ ტექნოლოგიური წესებით, რომელნიც განაპირობებენ მის დაწმენდას (გადაღება, გაწებვა, თერმული დამუშავება და სხვ.), და მხოლოდ ამის შემდეგ გაიფილტროს.

გასაფილტრაცია ხმარებული გასალვაი

გამფილტრავი ფენისათვის ხმარებული მასალები ადვილად უნდა ატარებდნენ ლვინოში გახსნილ ნივთიერებას და აკავებდნენ მოტივტივე ნაწილაკებს.

როგორც ცნობილია, გამფილტრავი ფენა წარმოიქმნება აზბესტის ტიხრისაგან და მასზე გამოლექილი ნალექი ქმნის მეორად გამფილტრავ ფენას.

ძირითადი გამფილტრავი ფენის შესაქმნელად იხმარება ბამბის, სელის და სხვა ქსოვილები, აგრეთვე ლითონის ბადეები, აზბესტისა და ცელულოზის ფირფიტები, ინფუზორული მიწა. ბოლო ხანებში ხმარებაში შემოვიდა პერლონისაგან დამზადებული ფურცლები.



ყველა ეს მასალები, როგორც აღვნიშნეთ, ღვინის მდგრადი ნებიტრალურნი არიან.

ასე, მაგალითად, ინფუზორული მიწა ღვინის მიმართ ნე-იტრალურია (ვ. გეისი, ვ. კრემერი, გ. ტროსტი), მაგრამ, თუ იგი უხარისხოა მაშინ ღვინო იძენს მიწის გემოს. კარგი თვისებებით ხასიათდება აზბესტი, მაგრამ ისიც კარგად უნდა იქნას დამუშავებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ღვინოში შეიძლება გადავიდეს რკინა ან კალციუმის შენაერთოები.

ცელულოზის გამოყენების შემთხვევაში ღვინოზე რაიმე მავნე გავლენას ნაკლებად აქვს ადგილი. თუ ვინიცობაა ღვინომ ამ დროს უცხო სუნი ან გემო მიიღო, მაშინ ეს ცელულოზის უხეირო შენახვას უნდა მიეწეროს.

შემოთ მოყვანილ გამფილტრავ შასალათა შორის, ყველაზე მაღალი წარმადობით ხასიათდება ინფუზორული მიწა და ცელულოზისა და ინფუზორული მიწის ნარევისაგან დამზადებული ფირფიტები.

აზბესტისა და ცელულოზის ნარევისაგან დამზადებული ფირფიტები გაფილტვრის საუკეთესო შედეგს იძლევიან. რაც უფრო მეტია ამ შემთხვევაში აზბესტის შემცველობა, მით უფრო მაღალია მისი დაწმენდის ეფექტიანობა.

ლორწოთი მდიდარ ახალგაზრდა ღვინოების შემთხვევაში საუკეთესო შედეგს ინფუზორული მიწა იძლევა.

ქსოვილებს ახასიათებთ დიდი დიამეტრის ფორები, ამიტომ მათ შესავიწროებლად გაფილტვრის წინ ატარებენ ძლიერ ამღვრეულ ღვინოს, რომლის ლექი ბიდვნავს ფორებს და ავიწროვებს მათ დიამეტრს.

საერთოდ კი გამფილტრავ ფენის შესაქმნელად გაფილტვრის წინ ღვინოში შეაქვთ ფხვიერი აზბესტი, სპეციალური თიხა, ცელულოზა, და სხვ. ყველაზე კარგ შედეგს იძლევა აზბესტიანი გამფილტრავი მასა.

აზბესტი შედგება სერპენტინის ჯვუფის მინერალებისაგან, რომელთაც წვრილ და მაგარ ბოჭკოების აძენდვის თვისება გააჩნიათ.

ყველაზე დიდი გამოყენება წარმოებაში აქვს ხრიზოტილ-აზბესტის ($H_4Mg_3Si_2O_9$).

აზბესტის მასა ქარხნებში რამოდენიმე ხარისხისა მზად-დება. ზოგიერთ შათგანს ემატება ცელულოზა, ამგვარი ნარე-



ვი კარგად ეკვრის ბადისაგან შემდგარ კედლებს და მოქმედებებს ბა ფენის გამტარუნარიანობა.

სუფრის ღვინის გასაფილტრავად, რომელსაც ახასიათებს ძნელად მოსაცილებელი სიმღვრივე, იმარება მოქლე ბოჭკოვანი სუფთა აზბესტი. ახალგაზრდა ღვინის და ტკბილი ღვინის დასაწმენდად კი გამოიყენება ცელულოზა ნარევი აზბესტი.


ფილტრები

ღვინის წარმოებაში გამოიყენება სხვადასხვა კონსტრუქციის ფილტრები, რომლებიც მოქმედების პრინციპის მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად დაგყოთ:

1. დამწნევი ფილტრები, რომელნიც მოქმედებენ გასაფილტრავი სითხის სვეტის ჰიდრაულიკური წნევის ხარჯზე, (კონსტრუქცია, როგორც ღია, ისე დახურული);

2. ტუმბოს მიერ შექმნილი წნევის ხარჯზე მოქმედი ფილტრები. ამ უკანასკნელთ განეკუთვნებიან დახურული ფილტრები და ფილტრპრესები. ქსოვილის ფილტრები—მათში ყველაზე მარტივი ფილტრია ტილოსაგან დამზადებული 25-35 ლიტრის ტევადობის კონუსისებური ფორმის პარკი (ყალფაღი). ასეთი პარკები დამაგრებულია ჩარჩოზე და ქვეშ ღვინის შემაგროვებელი ჭურჭელი უდგას.

ეს ხელსაწყო გამოიყენება ღვინის გასაწურად ანდა სარდაფში შეგროვილი ნარჩენი ღვინოების გასაფილტრავად. იმისათვის რომ გავაუმჯობესოთ ფილტრატის ხარისხი ტილოს ფორმები საჭიროა გაიბიდვნოს აზბესტის ან უელატინის მასით. ამ მიზნით ყოველ პარკზე იღებენ 8-10 გრ. აზბესტის ან 20-25 გრ. უელატინს. მცირე რაოდენობის წყალში გაქნიან აზბესტს ან გახსნიან უელატინს, დაუმატებენ 2-3 ლიტრ ღვინოს, მოათავსებენ ხის პატარა ჭურჭელში და კარგად ათქვეცავენ. შემდეგ ამ ჭურჭელს ღვინით შეავსებენ, ერთბაშად მოაპირქვავებენ ტილოს პარკში და მაშინვე შეავსებენ გასაფილტრავი ღვინით (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1.

პირველ ხანებში პარკიდან გამონადენი ღვინო მღვრიეა, შაგრამ შემდეგ, როცა პარკის ფორები მიმატებული აზბესტით ან ჟელატინით ამოივსება, დენას იწყებს წმინდა ღვინო. საჭიროა, რომ პარკში მოთავსებული ღვინო ყოველთვის ერთ დონეზე იდგეს. ღვინის მიმატება უაღრესად ფრთხილად უნდა ხდებოდეს, რომ პარკის გვერდებზე დალექილი აზბესტი ან ჟელატინი არ ჩამოირეცხოს და გამონადენი ღვინო ისევ არ აიმღვრეს.


ღვინის დენადობის შეწყვეტა იმას ნიშნავს, რომ პარკისა და გამფილტრავ ფენის ფორები მთლიანად გაიბიღვნენ ლექით.

ამ დროს პარკი უნდა მოიხსნას, ჯაგრისით კარგად გაირეცხოს და ფილტრი ისევ თავიდან აიწყოს. აღნიშნული ფილტრი მეტად პრიმიტიულია, მასში გატარებული ღვინო ზედმეტ აერაციას განიცდის და თვით პროცესიც მეტად ნებულა მიმდინარეობს. ეს ფილტრი გაუმჯობესებულ იქნა და ჰოლანდიური ფილტრის სახელწოდებით შევიდა წარმოებაში.

ჰოლანდიური ფილტრი

ჰოლანდიური ფილტრი წარმოადგენს სამფეხზე დადებულ მოკალულ ცილინდრს, მას ზემოდან იმავე ზომის რეზერვუარი აქვს დაღვმული. ამ რეზერვუარის ფსკერზე ჩადუღებულია

ხუთი ან ათოდე მოკლე მილაკი, მილაკებზე მიმაგრესტულობა
ვიწრო და გრძელი პარკები (იხ. ნახ. 2).



ნახ. 2. ჰოლანდიური ფილტრი.

ჭებით დაფარულ სახელოსაგან (იხ. ნახ. 3, 4). მის თავზე დამაგრებულია კონუსური გლუვი ჩასაღმელი X; ქვემოთ მოთავსებულია ხერელი O გლუვი ნაპირებით. შემდეგ A—სახელოში ჩადგმულია C—ბადე და თავის მხრივ ამ ბადეში ჩაშვებულია D—მცირე სახელო.

ფილტრის აწყობა შემდეგნაირად ხდება:

დიდ A—სახელოს ბოლოში იდგმება B მილაკი და ბადე, მასში კი მცირე სახელო D; B—მილაკი მოკალულია. შიგნითა სახელოს ფართო ნაწილი X¹ მჭიდროდ უნდა მოერგოს გარეთა სახელოს იმისთანავე ნაწილს X-ს (იხ. ნახ. 5).

პარკების ფორმებს წინასწარ აზბესტით ან უელატინით ამოავსებენ. შემდეგ რეზერვუარში ისხმება ლვინო და იფილტრება. ფილტრატი ცილინდრის ქვედა ნაწილში გროვდება და ონკანის საშუალებით ჭურჭელში ისხმევა. აქაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს რეზერვუარში ლვინის ერთ დონეზე გაჩერება.

სიმონეთონის ფილტრი „ფორტიონი“


ჭემოაღწერილ ფილტრებს შორის საყურადღებოა სიმონეტონის ფილტრი „ფორტიონი“. იგი წარმოადგენს პარკს, რომელიც თავის მხრივ შესდგება მრავალი გასწვრივი ნაო-

ჭებით დაფარულ სახელოსაგან (იხ. ნახ. 3, 4). მის თავზე დამაგრებულია კონუსური გლუვი ჩასაღმელი X; ქვემოთ მოთავსებულია ხერელი O გლუვი ნაპირებით. შემდეგ A—სახელოში ჩადგმულია C—ბადე და თავის მხრივ ამ ბადეში ჩაშვებულია D—მცირე სახელო.


ფილტრის აწყობა შემდეგნაირად ხდება:

დიდ A—სახელოს ბოლოში იდგმება B მილაკი და ბადე, მასში კი მცირე სახელო D; B—მილაკი მოკალულია. შიგნითა სახელოს ფართო ნაწილი X¹ მჭიდროდ უნდა მოერგოს გარეთა სახელოს იმისთანავე ნაწილს X-ს (იხ. ნახ. 5).

Հ 9 8 . 2 2 3
3



նու 3.




2. Ե. Թայզարօսն

նու 4.

სახელმწიფო
ნაციონალური
მუზეუმი

ამრიგად აწყობილი სახელოები გადაიტანება ფილტრის
რომელიც წარმოადგენს ლითონის კარგად მოქალულ ცი-
ლინდრს.



ნახ. 5. ვერტიკალური ჭრილი.

აპარატის ზემოთა ნაწილის შიგნითა მხარეს მოთავსებული
აქვს განსაკუთრებული ჩანართი FF (იხ. ნახ. 4), რომელიც
ორმაგ საყელოს ამაგრებს. სახელოების გაგანიერებული ნაწი-
ლი მჭიდროდ უნდა მოერგოს FF პირს, ისე რომ ნაოჭები
არ წარმოიშვას. სახელოები მაგრდება G ქონუსის საშუალე-
ბით, რომელიც მჭიდროდ შედის FF ჩანართის პირში.

საყელოების ქვედა მხარე მაგრდება B მიღავის საშუალე-
ბით (იხ. ნახ. 4 და 5), რომელსაც გარეთა საყელოსა და აპა-
რატის ძირს შორის დაყოლებული აქვს რეზინის ბრტყელი



რგოლები, იგი სწორედ ამ ძირზე მიიხრახნება *H* რგოლებისა და *U* ჭანჭიკის მეოხებით. გაფილტვრის დროს ღვინო შედის *W* ონკანის საშუალებით, ავსებს *KK*; *D* არეს და გამოდენის ჰაერს *G* ონკანიდან, რომელიც ჩახრახნილია ჰერმეტულად დახურულ სახურავში (იხ. ნახ. 5). აპარატის ავსებისას სა-ჰაერო ონკანი იკეტება.

გაფილტვრა მიმდინარეობს ან ღვინის სვეტის წნევის ქვეშ, ანდა ტუმბოს მიერ შექმნილ წნევის ქვეშ. ღვინო იქ-ლინთება გარეთა და შიგნითა სახელოებში, შედის მათ შორის შექმნილ გარემოში, სადაც ბადეა ჩაღმული; იქიდან გამო-დინდება *B* მილაკით, და *V*—ონკანის საშუალებით გამოდის გარეთ. გაფილტვრის დასაწყისში ღვინო მღვრიე გამოდის, მაგრამ როგორც კი ფორები გაიბიდვნება, დენას იწყებს გამჭვირვალე ღვინო.


როგორც ზემოთ აღწერილ ფილტრების შემთხვევაში, ისე აქაც სახელოების ფორები იბიდვნება ცელულოზის ან აზბე-ტის საშუალებით.

რამდენადაც მეტია ამ ფილტრში ცილინდრების რაოდე-ნობა, მით უფრო დიდია წარმადობა.


სიმონეტონის ფილტრი „უნივერსალი“

ღვინის საწარმოებში ხშირად გამოიყენება სიმონეტონის ფილტრი „უნივერსალი“. ეს ფილტრი ქსოვილებიან აპარა-ტების კლასს ეკუთვნის. აქ გაფილტვრა ხორციელდება მთელ რიგ ერთმანეთზე დალაგებულ ბაბის ქსოვილისაგან დამზა-დებულ რგოლების საშუალებით.

აპარატი დამზადებულია მოკალული სპილენძის ან ემალი-რებული თუჯის ცილინდრისაგან *TT*, რომლის შუა ნაწილ-შიც მოთავსებულია დაჩვრეტილი მილი *g* (იხ. ნახ. 6). *g*—მი-ლი ლითონის რგოლით მიმაგრებულია ქვედა ძირზე, რომელ-ზედაც ჩამოცმულია გამფილტრავი რგოლები. ეს მილი *P* ბო-ლოთი ცილინდრის ძირზე გადის გარეთ, სადაც მაგრდება *B* ჭანჭიკით და *U* მუფტით; ამ მილის მაღლითა ბოლო გა-დის სახურავს გარეთ; აქ იგი ვიწროვდება და შიგნითა ხრახ-



ნით ბოლოვდება. ამ ღრუში გადის O ხრახნი, რომელიც ჩამოცმულია M მილი. ეს მილი ბოლოში ფართოვდება ისე, რომ გამფილტრავი რგოლები დაფაროს. ბოლოზე ხრახნს დამაგრებული აქვს სახელური X , რომლის ბრუნვისას M —მილი



თახ. 6. ფილტრის ვერტიკალური ჭრილი.

რგოლებში, აქედან გამოვინილი ლვინო ხვდება g მილში და ფილტრატი გარეთ გამოდის (იხ. თახ. 6).

როცა ფილტრის ქსოვილური რგოლები საბოლოოდ გაიბიდვნებიან და გაფილტრორა თითქმის წყდება, საჭიროა აპარატი გაირეცხოს. ამისათვის ქვედა ონკანს უერთებენ ტუმ-

ქვედა ბოლოთი რგოლებს აწვება და ამჭიდროვებს მათ g მილის გარშემო, რის შედეგადაც იქმნება გამფილტრავი ფენა, რომლის სიმჭიდროვე დამოკიდებულია მოჭერის სიძლიერეზე.


ცილინდრის ზემო მხარეს ამვერეული ლვინის შესაშვებად მოთავსებულია A ონკანი; ქვემო ნაწილში კი E ონკანი—გაფილტრული ლვინის გამოსაშვებად. E ონკანის მოპირდაპირე მხარეს ლვინის გამჭვირვალეობის შესამოწმებლად ჩახრახნილია პატარა n ონკანი. ამას გარდა ფილტრის დასაცლელად ცილინდრის ძირში ჩახრახნილია F ონკანი.

ლვინო A ონკანის საშუალებით შედის აპარატი, ავსებს B —მოცულობას, რომელიც ცილინდრის კედლებსა და რგოლებს შორის არის მოთავსებული, გამოდენის იქიდან ჰაერს და თანდათან გაიფონება CC' .

პოს და მობირდაპირე მიშართულებით, დიდი წნევეს ქვეშა, ატარებენ შყალს, რომელიც რგოლებზე დალექილ სიმღვრივეს სრულიად გამორეცხავს.

ზეიცის ცილინდრული ფილტრი

ცილინდრული ფილტრი შედგება სპილენძის ან რკინის, შიგნიდან მოკალულ *AA* ცილინდრისაგან, რომელსაც ქვემოთ სუფთა ღვინის გამოსაშვებად ჩახრახნილი აქვს *X* ონკანი; გარეთა ცილინდრში იღგმება მეორე *BB* მცირე ცილინდრი, რომელიც ასევე ცილინდრული ფორმის მოკალული *C*—ბადით ბოლოვდება. ზემოთა ნაწილში მოთავსებულია ავტომატური ტივტივა, ონკანი *y* და სახურავი *Z* (ნახ. ნახ. 7).



ნახ. 7.

შიგნითა ცილინდრის ბადისებური ნაწილი შედგება გარეთა მსხვილ ბადისაგან და შიგნითა წმინდა ბადისაგან. გა-



რეთა ბადე დაზიანებისაგან იცავს წმინდა ბადეს, რომელმაც დაც წარმოიქმნება აზბესტის გამფილტრავი ფენა.

ცილინდრის ბადისებური ნაწილი კონუსის ფორმისაა (იხ. ნახ. 7. ჭრილი). იგი ცილინდრის ზედა ნაწილისაგან გამოყოფილია დაჩვრეტილი ჰორიზონტალური ტიხრით. ეს ტიხრი დართულია ღვინის თანაბრად გასანაწილებლად და დინების შესასუსტებლად.

გასაფილტრავად აპარატს შემდეგნაირად ამზადებენ: გასაფილტრი ღვინო აპარატის მაღლა თავსდება, შემდეგ იღებენ იმდენ ღვინოს, რამდენიც მას აავსებს და უმატებენ 20-დან 200 გრ-მდე აზბესტს, რომელიც გულმოდგინედ უნდა აითქვიფოს ჯერ მცირე რაოდენობის ღვინოში და შემდეგ დაემატოს პირველად აღებულ ღვინის რაოდენობას. ასე დამზადებული აზბესტიანი ღვინო აპარატში ჩაისხმება. პირველად გამონადენ მლვრიე ღვინოს იქამდე აბრუნებენ ფილტრში, ვიდრე გამფილტრავი ფენა არ შეიქმნება და ღვინო გამჭვირვალე არ გამოედინება.

ავტომატური ტივტივა-ონკანი არეგულირებს აპარატში ღვინის შესვლას და ღვინო ყოველთვის ერთ დონეზე დგას, რაც ხელს უწყობს ნორმალურ და ხარისხოვან გაფილტრას.

როდესაც გაბიღვნის გამო, გაფილტვრა წყდება, შიგნითა ცილინდრს ამოიღებენ, გადაღვრიან მასში დარჩენილ მლვრიე ღვინოს და წმინდა ბადეზე შექმნილ აზბესტის ფენას გარეთა ბადის მხრიდან წყლის ძლიერი შეფეთ რეცხავენ.

აღნიშნული ფილტრი სხვადასხვა წარმადობისაა, 20-დან 300 ლ/ლ-მდე 8 საათში. ამ ტიპის მცირე გაბარიტიანი აპარატები იხმარება ლაბორატორიებშიც. რაც შეეხება ბოთლებში ჩამოსხმული ღვინის გაფილტვრას, ამ შემთხვევაში იხმარება ზეიცის სისტემის აზბესტის სპეციალური ფილტრები „კომეტა“ და „კამერ-კომეტა“. აქ გაფილტვრა ჰაერმიუქარებლად მიმდინარეობს და ფილტრატი კარგა გამჭვირვალე გამოდის (წარმადობა 100-500 ლიტ. საათში).

ფილტრი „კომეტა“ და „კამერ-კომეტა“

ფილტრი „კომეტა“ წარმოადგენს სამფეხზე მდგარ **A** თასს, რომლის ფსკერიც დალარულია. მასზედ მრგვალი, წმინდა


უეანგავი ლითონის *B* საცერი იდება, რომელზედაც უმოქმედობა მხრივ ზევიდან მრგვალი *C* ცხრილი ეფარება, შემდეგ მას ფართო რგოლი *D* და არმატურიანი სახურავი ედგმება. (ნახ. 8).

ფილტრის ყველა ის ნაწილი, რომელსაც ღვინო ეხება, მოვერცხლილია. ხმარების წინ *B* საცერსა და *C* ცხრილს წყლით ავსებენ. შემდეგ საცერს თავის ადგილზე ჩადგამენ, ზევიდან *D* რგოლს დაადებენ და ქანჩებით დაუჭერენ. ამის შემდგომ ნიშანხაზამდე წყლით შეავსებენ და აპარატის ფეხებში ჩასმულ ხრახნების საშუალებით ფილტრს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დააყენებენ (ჩასხმული წყალი რგოლზე აღნიშულ სამივე ნიშანს უნდა უდგებოდეს).

ამის შემდეგ წყალს გამოუშვებენ და აპარატში ერთბაშად ჩასხამენ აზბესტის მასას.

როცა აპარატი წყლისაგან დაიცლება, გააღებენ ჰაერის ონკანს, მოხსნიან რგოლს, აზბესტის მასას საცერზე ფრთხილად დაადებენ ცხრილს, ზევიდან სახურავს გაუკეთებენ და ქანჩებით მჭიდროდ მოუჭერენ. ამის შემდეგ სახურავის ონკანს შეუერთებენ გასაფილტრავ ღვინის ჭურჭელს, გააღებენ ზედა საჰაერო ონკანსაც და შიგ ღვინოს შეუშვებენ. როგორც კი საჰაერო ონკანში ღვინო გამოჩნდება, მას კეტავენ, გამოუშვებენ ორ-სამ ლიტრ წყალნარევ ღვინოს, და უკვე ამის შემდეგ შეუდგებიან ღვინის ჩამოსხმას.

ფილტრი „კამერ-კომეტა“, „კომეტის“ კონსტრუქციისაა,



ნახ. 8.




ოღონდ მასში გამფილტრავი აზბესტის მასა რაღდენი და მასში არით თრ-სამ ფენადა ერთმანეთზე დალაგებული.

აღწერილ აპარატში ღვინო თვითდინებით შედის, დონეთ სხვადასხვაობის გამო.

„დობრონის“ ფილტრი

„დობრონის“ ფილტრი წარმოადგენს სპილენძის მოკალულ ან ფოლადის, შიგნიდან ემალით დაფარულ ცილინდრს. იგი ჰირიზონტალურად დადგმულია ოთხ თვალზე; ცილინდრის



ნახ. 9. „დობრონის“ ფილტრი.

დიამეტრი მეტყველს 60-80 სმ-მდე. ცილინდრის ცენტრალური ხაზის მიმართულებით გაყრილია სპილენძის 6-8 სანტ. დიამეტრის მოკალული მილი, რომელიც დაუარულია გრძივი



ხვრეტილებით. აღნიშნულ მიღწე აცმულია ტილოს მრგვალული ტომრები, რომელთა შიგნით ჩადებულია სქელი ბაჭრისაგან დაწნული სადრენაჟო ბადე. ტომრებს და ბადეებს ცენტრში აქვთ ხვრეტილები, რომლებშიაც ჩაიღვება თითბერის მოკალული რგოლები, რომელთაც შიგნითა პირზე რამდენიმე ხვრეტილი აქვთ. ამ რგოლს მიღწე წამოაცვამენ და ტომრის შიგნით ათავსებენ, ისე რომ ფენები რგოლის აქეთ-იქით მოექცნენ. რგოლის ხვრეტილები ამ დროს ტომრის შიგნით უნდა იყვნენ მიმართულნი. აღნიშნული რგოლები ერთმანეთზე ეწყობიან და ქმნიან არხებს, რომელიც მიღის შიგნითა ნაწილს გრძივი ხვრეტილების საშუალებით უერთდებიან (იხ. ნახ. 9).

როცა აპარატში ჩალაგებულია ტომრები სადრენაჟო ბადეებით და დამაგრებულია ჭანჭიკებით, ცილინდრის სახურავს მჭიდროდ ხურავენ. ასე აწყობილ ფილტრში შეუშვებენ მღვრიე ღვინოს, რომელიც იჯონება ტომრების ფენებიდან მათ შიგნით, და სადრენაჟო ბადეების საშუალებით შედის ბადის ცენტრში გადებულ მილში, ეს უკანასკნელი ონკანს უერთდება და ფილტრატი გარეთ მოთავსებულ ჭურჭელში გროვდება. გარეცხვისას „დობრონის“ ფილტრი დაშლას არ საჭიროებს, მხოლოდ წნევის ქვეშ საწინააღმდეგო მიმართულებით ატარებენ წყალს. ფილტრის ტილოს ტომრების, ფორების გასაბიძვნად, ე. ი. გამფილტრავი ფენის შესაქმნელად იყენებენ: დიატომიტს, აზბესტს, წებოვან ნივთიერებებს: ცელულოზას, ჟელატინს. თევზის წებოს და სხვ. აღნიშნული ფილტრის წარმადობა საათში 35-დან 80 ჰექტოლიტს უდრის.

ზემოც ფილტრი „ჰერკულესი“ და „ცურკა“

ღვინის წარმოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ფილტრი „ჰერკულესი“, რომელიც აზბესტიან ფილტრებს მიეკუთვნება. ეს ფილტრი გარდა იმისა, რომ დიდი წარმადობისაა, ღვინოსაც უაღრესად კარგად ფილტრავს.


ფილტრი წარმოადგენს შიგნიდან მოკალულ სწორკუთხა კამერას, დაღგმულს ორ თვალზე. კარგები მას გვერდიდან აქვს გაკეთებული. კამერის შიგნით განლაგებულია ღვინის შემაგროვებელი შიგნიდან მოკალული სპილენძის მიღები. ეს მი-



ლები კამერის კედლიდან გარეთ გამოდიან და საერთო გაყვანილობას უერთდებიან.

მიღების იმ ნაწილებს, რომლებიც კამერის შიგნით არიან მოთავსებული, გარედან გაკეთებული აქვთ ინდენი ხვრეტილი, რამდენი გამფილტრავი ელემენტიც დაეტევა გათზე.

ყოველი ელემენტი კვადრატული ფორმისაა და მისი ჩარჩოები შეკრულია მიღებისაგან. ელემენტის ორივე მხარეს დაჭიმულია მოკალული თითბერის წანიდა ბადე. ამ ბადეებს



შორის მოთავსებულია მსხვილი მავთულისაგან დამზადებული სადრენაჟო ბადე. ჩარჩოების მიღები უკავშირდებიან ბადეებს შორის არსებულ არეს. ყოველ ჩარჩოს აქვს ღვინის ჩამოსაღენი ორი მილაკი, რომლებიც ჩამაგრებულია სათანადო ხვრეტილებში, და მაგრდებიან გადმოსაგდებ ხარისით. ამას გარდა ჩარჩოები სპეციალური სამაგრებითაც გაგრდებიან (ნახ. 10).

როცა ფილტრი უკვე აწყობი-

ნახ. 10 „ჰერკულესი“. ლია, გვერდით კარებს მჭიდროდ ხურავენ ჭანჭიკებით, შემდეგ 150-200 ლიტრ ღვინოში კარგად წევნიან და ათქვეფავენ საჭირო რაოდენობის აზებესტს. იხ. ცხრ. 1.

ცხრილი 1

აპარატის დასახელება	სიმძლავი გრ. გვ.	სიმძლავი გრ. გვ.	დაახლოებითი დღიური წარმა- დობა ლიტ.-ში	განზომილე- ბანი სმ-ში			სიმძლავი გრ. გვ.	სიმძლავი გრ. გვ.	სიმძლავი გრ. გვ.	აზე- ბესტის მოვალეობა ტენიანი ტენიანი
				სიმძლავი გრ. გვ.	სიმძლავი გრ. გვ.	სიმძლავი გრ. გვ.				
ჰერკულესი № 6	4	6	9000—20000	155	85	180	370	900		
„ № 12	8	12	18000—35000	150	110	185	530	1800		
„ № 18	12	18	27000—54000	165	85	193	685	2700		
„ № 24	16	24	36000—72000	170	95	208	834	3600		
„ № 30	20	30	45000—90000	175	113	218	1040	4500		
„ № 36	24	36	54000—100000	175	130	228	1310	5400		
„ № 60	28	60	100000—200000	210	170	255	2750	6000		


შეკვეთის
აღმოჩენა

გათქვეფილი აზბესტი ტუმბოს საშუალებით შეკვეთის
ფილტრში. ლვინო ფილტრის ელემენტებში წნევის შესრულებულ
დის, აზბესტის ბოჭკოები კი თანდათან ფენებად ილექტებიან
წმინდა ბადეებზე და ბიდვნავენ მის ხვრეტილებს. ამის შემ-
დეგ გაუშვებენ გასაფილტრავ ლვინოს. გაივლის თუ არა ლვი-
ნო გამფილტრავ ფენას, იგი თავსდება ელემენტის შიგნითა
ლრუში, საიდანაც ჩამოსალენი მილების საშუალებით მიემარ-
თება ზემო და ქვემო შემაგროვებელ მილებში გამოსავალ ონ-
კანისაკენ. ლვინის სიწმინდის ხარისხი მოწმდება გამოსავალ
მილზე ჩამაგრებულ შუშის პატარა ფანჯრის საშუალებით.
წნევაზე დაკვირვება მანომეტრის მეოხებით ხორციელდება.
გაფილტვრის დამთავრების შემდეგ აპარტს ხსნიან, გამოალა-
გებენ ბადეებს, აშორებენ აზბესტის და ლექის ფენას, წყლის
ძლიერი ნაკადით რეცხავენ და აშრობენ.

ალნიშნული ფილტრები დიდი წარმადობით ხასიათდებიან.
(იხ. ნახ. 10.).

ამავე ტიპის აპარა-
ტია აზბესტიანი ფილტრი
„ფურკა“, რომელიც ისე-
თივე ჩარჩოებით ხასიათ-
დება, როგორც „პერკუ-
ლესი“, ოღონდ იგი შე-
დარებით გარტივი კონ-
სტრუქციისაა (იხ. ნახ.
11).

ეს ორი ფილტრი აღ-
ჭურვილია მარეგულირე-
ბელი ონკანით, რომელიც
ლვინის ავტომატურად
მილებას აწარმოებს. ისი-
ნი ლვინის, ლიქიდის
და სპირტის დესტილი-
ატების გაფილტვრის მაღალ ეფექტს იძლევიან. მე-2 ცხრილ-
ში მოგვიანს „ფურკას“ წარმადობის ერთეულები.



ნახ. 11.

აპარატის დასახელება	კუნძულის მდგრადი მუნიციპალიტეტის დაწყებულების დრო	განზომილებანი სმ-ში	ფილტრის ფართობი		მდგრადი	კუნძულის მდგრადი მუნიციპალიტეტის დრო
			ფილტრის სრული	სრული		
ფურკა — I	2	600—1200	45/27	137	43	75
„ — II	3	1200—2400	50/30	150	56	135
„ — III	5	2500—5000	50/3	150	73	230
„ — 6	10	5000—10000	50/50	165	155	450
„ — 5	10	8300—16000	67/55	205	205	750

ფილტრის მომსახურები

გამაუსნებოვნებელი ფილტრი „ეკ“

გამაუსნებოვნებელი ფილტრი „ეკ“ და სეროთოდ ფირფიტოვან ფილტრებს დიდი გამოყენება აქვთ მეღვინეობაში. აღნიშნული ფილტრების ფირფიტები მზადდება აზგესტისაგან, დიატომიტ შერეულ ცელულოზისაგან და სხვ.

ფირფიტოვან ფილტრების წინაპრად ითვლება გამაუსნებოვნებელი ფილტრი „ეკ“. ეს ფილტრი შედგება უკანა უძრავ ჩარჩოსა და მოძრავ წინა ჩარჩოსაგან. ამ ჩარჩოებ შორის მოთავსებულია ბრტყელი ჩარჩოები გამფილტრავ ფირფიტებით. „ეკ“ ფილტრები მზადდება 12, 20, 30, 40 და 80 ჩარჩოიანი. ყოველ ჩარჩოს თავისი რიგითი ნომერი აქვს. იმ კამერებში, რომლებსაც წყვილ რიცხვიანი ჩარჩოები ქმნიან, მოთავსებულია გაუფილტრავი ღვინო, კამერებში კი, რომლებსაც კენტრიცხვიანი ჩარჩოები ქმნიან, თავსდება გაფილტრული ღვინო. ზოგი ჩარჩოები ამოსაწევია, ზოგი კი შეიძლება წინ და უკან ვამოძრაოთ გვერდზე ჩამაგრებულ შტანგებზე.

ამოსაწევ ჩარჩოებს ზემოთა მხარეს აქვთ მრგვალი ხვრეტილებიანი ამოწეული ბოლოები. ასეთივე ხვრეტილები აქვთ დანარჩენებსაც, ოღონდ ქვედა მხარეს. აწყობილ მდგომარეობაში ფილტრის ჩარჩოებს და მათ შორის მოთავსებულ ფირფიტებს მჭიდროდ ეჭირება ჭანჭიკები. ჩარჩოების ერთმა-



წეობე მჭიდროდ შეკუმშულნი ზედა და ქვედა ხვრეტროლუმი
ორ ქვედა და ზედა ლარს ქმნიან.

გასაფილტრი ღვინო მიღის საშუალებით შედის ქვედა
არხში და, ერთი მეორეში გავლით, კამერებში ნაწილდება.
აქედან სტერილური ღვინო ზემო არხში გამოდის. ფილტრი
მომარაგებულია მანომეტრებით და ორი ონკანით—ქვედა
ღვინის გამოსაშვებად და ზემოთა კი ჰაერის გამოსაშვებად.
გაფილტვრის პროცესი მიმდინარეობს 0,5-დან 1,5 ატმოსფე-
როს წნევის ქვეშ.

„EK“ ფილტრის საფილტრავი ზედაპირი და წარმალობა
ჩარჩოების რიცხვის მიხედვით მერყეობს შემდეგნაირად:
(იხ. ცხრ. 3.).

ცხრილი 3


ს. ჯ	ფირფიტების დღამეტრი და რიცხვი	წარმად იბა საათში	აპარატის მიერ და- ქავებული ფართობი	აზბ. წონა გრ-ში
1	30/10	300	60/60	68
2	30/20	5' 0	60/60	78
3	30/40	1000	135/15	178
4	30/60	1500	150/65	220
5	30/80	2000	163/65	280

გამაუსნებოვნებელი ფილტრი „EK“ სხვადასხვაგვარ წვენს
და ღვინოს ათავისუფლებს საფუვრებისა და ბაქტერიიების
უჯრედებისაგან, ე. ი. ეს ფილტრი ხელს უშლის: 1) სითხეში
მაკრობიოლოგიური პროცესების წარმოშობას, 2) მეორად
დუღილის წარმოშობას ღვინოში, როგორიცაც დარჩენილია
შაქრები, 3) ანიჭებს ღვინოს მდგრადობას და 4) ხელს უშ-
ლის რძისმეუვა დუღილის წარმოშობას.

დაუშვებელია „EK“ ფილტრში მღვრიე ღვინის გაფილ-
ტვრა, რაღაც ფირფიტების ფორმები იმდენად ეიწროა, რომ
ნაწილაკები ვერ გადიან და სწრაფად ბიდვნავენ ფორმებს.
ამის შედეგად ღვინო აღარ იფილტრება. ამიტომ აუცილებე-
ლია „EK“ ფილტრში გატარებამდე ღვინო გაიწებოს, ან ჯერ
ჩვეულებრივ ფილტრში გაიფილტროს. „EK“ ფილტრი ნორ-
მალურად იმუშავებს მხოლოდ აღნიშნული პირობების დაც-
ვის შემთხვევაში.

კავერული ფილტრისები

უკანასკნელ წლებში დიდი მოწონება დაიმსახურეს ახალი მოდელის კამერულმა ფილტრპრესებმა (ნახ. 12).



ნახ. 12

აღნიშნული ფილტრების კონსტრუქციული პრინციპი იგვეა, რაც „ЭК“ ფილტრისა, ოღონდ მათი ჩარჩოები ოთხკუთხედია („ЭК“ ფილტრში მრგვალი ჩარჩოებია); კამერული ფილტრის დიდი მოდელი შესდგება დიდი ზომის ფირფიტებისაგან 60×60 სმ. პატარა მოდელის ფირფიტები— 40×40 სმ.



ფირფიტების რიცხვი 150-მდე აღწევს. კამერული ფირფიტების წარმადობა ბევრად აღემატება „ეკ“ ფილტრის წარმადობას (იხ. ცხრ. 4).

ცხრილი 4.

ჯ ჯ	ფირფიტების ზომები და რიცხვი	წარმადობა ლიტრ-ში	ზომები სმ-ში		წონა გვ-ში
			ფართობი	სიმაღლე	
1	60 20	1500—1900	260—100	1:6	1060
2	60/40	3100—3900	260—100	136	1180
3	60/80	6300—7900	320—100	136	1500
4	60/150	11900—14900	460—100	136	2115
5	40 20	450—550	135—60	—	198
6	40/31	1400—1700	145—60	180	262
7	40/50	2400—2800	160—60	—	335

ფილტრპრესის ხარჩოზე თანამიმდევრობით ჩალაგებულია კამერებისა და აზბესტის ფირფიტების რიგი. ყოველ ორ კამერას შორის დატანებულია ერთი აზბესტის ფირფიტა. ისე, რომ მთელი ფილტრი აგებულია ერთი მეორის მომდევნო კამერებისავან. ფილტრის ამგვარ კონსტრუქციას დიდი უპირატესობა ენიჭება, რადგან შესაძლებელია ფირფიტების და ფილების რაოდენობის გაზრდით შევამციროთ ან გავზარდოთ მისი წარმადობა.


გარდა ამ უპირატესობისა, აგრეთვე შესაძლებელია სხვადასხვა გაუონვის ხარისხის მქონე გამფილტრავ ფირფიტების გამოყენება ერთი და იგივე ფილტრზე. კამერულ ფილტრს თავისუფლად შეუძლია გამაუსწოვებელი ფილტრის როლიც შეასრულოს. ასე რომ იგი პრაქტიკულად უნივერსალურ ფილტრს წარმოადგენს. კამერულ ფილტრპრესის კიდევ ერთი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ დახურულ გაფილტვრის დროს ჰაერი ლვინოს არ ეხება.

ფილტრპრესის კონსტრუქციაში რომ გავერკვეთ, საჭიროა განვიხილოთ მისი დაღარული ფილების მოწყობილობა (იხ. ნახ. 13).

როგორც ნახატიდან ირკვევა, ამ ფილების ორივე ზედაპირი ვერტიკალურად არის დაღარული. ფილის ზემოთ და



ქვემოთ ეს ლარები წყდებიან ანუ იქვეთებიან კუთხურ მუნჯების ხვრელებთან (ფანჯრებთან), გარდიგარდმო ლარებით (ნახ. 14. 1, 2, 3).




ნახ. 13.—მრგვალ ხვრეტილებიანი დაღარული ფირფიტები ზეიცის სისტემისა. ჭრილში (ზევით), გეგ-მაში (ქვემოთ). 1—მრგვალი ხვრე-ტილი; 2—გამჭვირვალე ღვინის საკანი; 3—სიმღვრივის საკანი; 4—გამფილტრავი ფენა; 5—და-ღარული ფილის გვერდითი თა-მასა.

ნახ. 14.—დაღარული ფი-ლების ხვრეტილები. 1—ლა-რი მთელ სიგრძეზე; 2—ვიწ-რო ფანჯარა მთელ სიგ-რძეზე, მრგვალი ხვრელით მაღლა და დაბლა; 3—მოკ-ლე ხვრელი.

ეს ლარები ღვინოს ფილის ზედაპირზე თანაბრად ანაწილებენ. ფილები ჩამაგრებულ გამფილტრავ ფირფიტებთან ერთად ფაქტურად საკანს ქმნიან.

ღვინის შეშვება და გამოშვება ხორციელდება მრგვალი ხვრელების საშუალებით, რომელნიც არხებით ფანჯრებს უერთდებიან (ნახ. 13, დაშტრიხული ნაწილი).

ყველა ფირფიტას ერთი მრგვალი ხვრელი გვირდზე განვითარებულია
და მეორე კი ქვევით მის ქვეშ. (ნახ. 15).



ნახ. 15.—ფილტრპრესის ჭრილი. 1—მოძრავი სახურავი; 2—მეორადი ფილტრი; 3—მოსაბრუნი საკანი; 4—სუფთა ღვინის საკანი; 5—სუფთა ღვინის გამოსავალი; 6—სიმღვრივის საკანი; 7—მდვრივ ღვინის შესავალი; 8—უძრავი სახურავი; a—ღარი, ორმელიც მდვრივ ღვინის მხარეს მანო-ჟეტოთან აერთებს; b—ვერტიკალური ღარი, ორმელიც სუფთა საკანს მოსაბრუნ საკანთან აერთებს; c—სუფთა ღვინის შემაერთებელი ღარი; d—სახურავი, ორმელიც ფილტრის შესავალს კეტავს; e—მრგვალი ხვრელი.

13 და 15 ნახაზებიდან ჩანს, რომ ხვრელიანი ფანჯრები უერთდებიან ერთმანეთს ვიწრო ხვრელით, ორმელიც ფანჯრების მიმართულებით განიერდება.

ფილტრის ფილები შემოზღუდულია ოდნავ აწეული კი-დეებით (ნახ. 13, 15), ორმელნიც ფილების ჩახრახნის დროს ბრტყელ არეს ქმნიან. ამ ფილებს შორის შექმნილი არე (4 მმ სიგანის) ამოივსება ჩადგმული გამფილტრავი ფენით (იხ. ნახ. 13. ზემოთა ნახაზი).

შემავალი ღვინო ერთდროულად ნაწილდება გაუფილტ-რავი ღვინის საქნებში, ავსებს მათ, გაიქონება გამფილტრავ ფენაში, ორმლის შიგნითა ზედაპირზეც სიმღვრივე ილექტება.

ფილტრის წარმადობა ძირითადში დამოკიდებულია თა-ნაბარ წნევაზე.


კამერული ფილტრპრესი მომარაგებულია № 1-7 ფირფი-ტებით, ამასთან № 1-4 იხმარება ღვინის ჩვეულებრივ გა-3. ნ. მაჭავარიანი

ფილტვრისათვის, № 5-7 ფირფიტები გამაუსნებოვნეშელი გამოყენება.


კამერული ფილტრპრესები ყველაზე სრულყოფილ ფილტრებს წარმოადგენენ.

ინფუზორულ მიზის ფენიანი ფილტრპრესები

ფილტრპრესებში ინფუზორული მიწა ჩარეცხვის შედეგად სპეციალურ საკნებზე, ანუ დასაყრდენ სიბრტყეებზე ილექება. (ნახ. 16).



ნახ. 16.—ფილტრპრესის ჭრილი. 1—ინფუზორული მიწით დატვირთული ჩარჩოები; 2—სახურავის კუთხეში მოთავსებული ფანჯრები, სუფთა ღვინის მხარებე; 3—გაფილტრული ღვინის საკანი.



ნახ. 17. გამფილტრავი ფილები და ჩარჩოები (ზენიტი 60). 1—ფილი; 2—ჩარჩო ინფუზორული მიწით სათვის; 3—საფუვრების გასფილტრი ჩარჩო.

მანკასის სისტემის აპარატებს, რომელშიც სათაღარიგო ბალონიდან მიეწოდება თანაბარი რაოდენობის ინფუზორული მიწა;

ინფუზორული მიწით დატვარული ჩარჩოები წარმოადგენენ წნევის საკნებს (იხ. ნახ. 17).

ხშირ შემთხვევაში საკმარისია შევიტანოთ 160-250-300 გრ. ინფუზორული მიწა ყოველ ჩარჩოზე (ჩარჩოს ზომა 40×40 სმ.), ფენის შემდგომი განახლებით.

ინფუზორული მიწა სითხეში აირევა და ფილტრპრესს მიეწოდება (ნახ. 16).

გილგეს ქარხნები უშვებენ პერ-

ეს უკანასკნელი ქვევით მიეღინება და სპეციალურ ამრევშრებულება ადგილდება (ნახ. 18). აქედან კი კარგად არეული მასა ფილტრპრესში გადადის და ტრირთავს მას. მღვრიე ღვინისა და საფუვრების წინასწარ გასა-
ფილტრავად ინფ უზორული მი-
წა საუკეთესო საშუა ლებას წარ
მოადგენს.

დონის დაჭველა ცხრილიზუ- გის (სპეციალული ღრის) საუზალებით

სიმღვრივის მოცი ლებამ ცენ-
ტრგამსწრაფი ძალის საშუალე-
ბით მეღვინეობაში ამ ბოლო
ღროს დიდი გამოყენება ჰპოვა.


ცენტრიფუგაში ძალიან
კარგად ხდება ძლიერ მღვრიე
ღვინოების წინასწარი დაწმენ-
და. ამასთანავე იგი შედარე-
ბით იაფი ჯდება.

ცენტრიფუგას ახასიათებს
შემდეგი დადებითი მხარეები:
ექსპლოატაციის სიმარტივე, მცირე დანაკარგები, ელექტრო-
ენერგიის ეკონომია და სხვ. ეს აპარატი არავითარ უარყოფით
გავლენას არ ახდენს ღვინოზე.

ყველაზე სრულყოფილი აპარატი განოდგა ექსტრალის ჩო
დელის ცენტრიფუგა, ექვსკამერიანი ბარაბანით (იხ. ნახ. 19).


მღვრიე ღვინის სათავსო საკანს აქვს 60 ლიტრის მოცუ-
ლობა, ბარაბანის ბრუნვათა რიცხვი ტოლია 4500 გრ/წ.
წარმადობა—3500 ლ/ს. ამ აპარატის უარყოფით მხარეს წარ-
მოადგენს მის განტვირთვისა და გაწმენდის სირთულე. ცენ-
ტრიფუგის დატვირთვა აუცილებლად თვითდენით უნდა წარ-
მოებდეს.

ტკბილის წინასწარ დაწმენდას ცენტრიფუგის საშუალე-



ნახ. 18.—გილგეს განმანაწილებელი
აპარატი. 1—სათადარიგო ჭურჭელი;
2—ინფუზორული მიწის მარაგი;
3—დამრევი; 4—მთავარი ნაკადი;
5—განმანაწილებელი ვენტილი.

ბით დიდი მნიშვნელობა აქვს, შემდგომში ღვინის ფილტრულებულ ტერიტორიაზე ცალკეული ღვინის გამოყენებისათვის.



ნაჩ. 19.—ცენტრიფუგა გესტფალია SAG 10006—ჭრილი. 1—შესავალი ხვრელი; 2—გამოსავალი ხვრელი; 3—დამზუფავი სითხის ნაკადი; 4—გამოყოფილი ლექის გამოსავალი.

საერთოდ პრაქტიკაში სწორედ ღვინის ტიპის, მდგომარეობისა და ხარისხის მიხედვით უნდა შეირჩეს მისი დაწმენდის ესა თუ ის წესი.

Л 0 8 0 6 0 8 0 6 0

1. Андрющенко И. М. — „Очистка вина“. Библиотека „Вестник виноделия“, № 11, 1911.
 2. Герасимов М. А. — „Технология виноделия“. Пищепромиздат. Москва 1952, г. стр. 260.
 3. Зигель В. — „Фильтрация“. М. 1939 г.
 4. Знаменский Г. А. — Технологические оборудования стекло-сахарных заводов. (Глава о фильтрации). Пищепромиздат 1949 г.
 5. Эндрюэль д. д. — Метод ускорения созревания и достижение стабильности шампанских виноматериалов и сухих белых марочных вин. Кип. Дисс., 1953 г.
 6. Мачавариани Н. Д. — Метод ускорения созревания и достижение стабильности шампанских виноматериалов и сухих белых марочных вин. Кип. Дисс., 1953 г.
 7. Нечасев А. Н. — Помутнение вин. Пищепромиздат, 1951 г.
 8. Ж. Риберио-Гайон — Виноделие. Пищепромиздат. Москва, 1956 г.
 9. Файн-Юнг А. Ф. — „О Фильтрации плодовых соков и вин“. Виноделие и виноградарство СССР. 1944 г., № 3, стр. 11.
 - 10 Троост Г. — „Технология вина“. Пищепромиздат. Москва, 1958 г.
-

ସାହିତ୍ୟବିଜ୍ଞାନ

୧୩୩

ଖଂଗାଳି ନାଚିଲି	3
ଲୋକିନିଃ ତ୍ରୈକ୍ସେବେଦିନି ଗାୟତ୍ରୀରେଣ୍ଟା ଗାୟତ୍ରୀଲିଙ୍ଗରୀନି ମ୍ସ୍‌ବ୍ୟାଲେନିବାହୀନେ	6
ଗାୟତ୍ରୀଲିଙ୍ଗରୀନି ଗାୟତ୍ରୀରେଣ୍ଟା ଲୋକିନିଃ	7
ଫୋଲିଟ୍ରୀରୀନି ପାରମାଧାରବା	8
ଗାୟତ୍ରୀଲିଙ୍ଗରୀନି ଲୀଜନିକା	9
ଲୋକିନିଃ ଗାୟତ୍ରୀରେଣ୍ଟା ଦା ଗାୟତ୍ରୀଲିଙ୍ଗରୀନି ଦାତିରୀନିଶିଳ୍ପିରେଣ୍ଟା	11
ଗାସାତ୍ରୀଲିଙ୍ଗରୀନି କରିବାରେ କରିବାରେ କରିବାରେ କରିବାରେ	12
ଫୋଲିଟ୍ରୀରେଣ୍ଟା	14
ତାଲାନଦିଶ୍ଵରି ଫୋଲିଟ୍ରୀରୀ	15
ସିମନ୍ଦ୍ରେତ୍ରାନିଃ ଫୋଲିଟ୍ରୀରୀ „ପୁନର୍ମୁଦ୍ରିତିନିର୍ମାଣିକା“	16
ସିମନ୍ଦ୍ରେତ୍ରାନିଃ ଫୋଲିଟ୍ରୀରୀ „ପୁନର୍ମୁଦ୍ରିତିନିର୍ମାଣିକା“	19
ନେଇପିଲି ପିଲିନିନିର୍ମାଣିକା ଫୋଲିଟ୍ରୀରୀ	21
ଫୋଲିଟ୍ରୀରୀ „କାମେତ୍ରା“ ଦା „କାମେର କାମେତ୍ରା“	22
„ଦାତିରୀନିଶିଳ୍ପିରେଣ୍ଟା“ ଫୋଲିଟ୍ରୀରୀ	24
ନେଇପିଲି ଫୋଲିଟ୍ରୀରୀ „କେରକୁଲ୍ଲେଶିଗ“ ଦା „କୁରକୁଳ୍ଲେଶିଗ“	25
ଫୋଲିଟ୍ରୀରେଣ୍ଟା ଫୋଲିଟ୍ରୀରୀ	28
ଗାମାରୁସନ୍ଦେଶନିର୍ମାଣିକା ଫୋଲିଟ୍ରୀରୀ	28
କାମେରିଶ୍ଵରି ଫୋଲିଟ୍ରୀରେଣ୍ଟା	30
ନିର୍ମାଣିକା ମିଶ୍ରିତ ଫୋଲିଟ୍ରୀରେଣ୍ଟା ଫୋଲିଟ୍ରୀରେଣ୍ଟା	34
ଲୋକିନିଃ ଦାତିରୀନିଶିଳ୍ପିରେଣ୍ଟା ପ୍ରେରିତିରୀନିଶିଳ୍ପିରେଣ୍ଟା ସାମାଜିକିତା	35
ଲୋକିନିଃ ପାରମାଧାରବା	37

რედაქტორი გ. ჯორჯანელი
მხატვარი ვ. ალიმბარაშვილი
ტექნიკური დ. ღლონტი
კორექტორი ნ. თავაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VIII-61 წ;
ქაღალდის ზომა $84 \times 108 \frac{1}{3} \text{ cm}$; სააღრიცხ.-საგამო-
მცემლო თაბაზი 1,84. ნაბეჭდი თაბაზი 2,46.
სააგტორო თაბაზი 1,74.

შე 00458 ტირაჟი 5.000 მეცნ. № 789.
ფასა 6 კაპ.

საქ. კპ ც კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ Издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина № 14.



Нодар Давидович Мачавариани

Фильтрация вин

(На грузинском языке)

Государственное издательство

„Сабчота Сакартвело“

Тбилиси

1961

27/623



0000063440
0000063440